

სახალხო ფურცელი

საქართველოს
საზოგადოებრივი განათლების
სამსახური

საქართველოს
საზოგადოებრივი განათლების
სამსახური

გაზეთის № 369

ლაგაზების № 66

შაბათი, 29 აგვისტო 1915 წ.




მისი იმპერატორადიტი უმაღლესობა დიდი მთავარი
ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე
დანიშნული მეთვის მოადგილედ კავკასიაში.

ლოცვა უამს წყევლისას

1

უკანასკნელ საღამს გითვლი შორს მოსული შორს გაქცეულს,
უკანასკნელ ლოცვას გიძღვნი, ლოცვას წყევად გადაქცეულს:
და წყეულნიც იყავ მუდამ, საუკუნოდ, მარადწამსა,
არ ეღირსოს დინჯი ფიქრი შენს ფიქრს ფიქრით განაწამსა;
სატრფო შეგხედეს შენივ მზგაესი, უარესსა უარესი,
თვალი მიწყვი სველი გქონდეს--ხახვის ფურცლით დანასრესი;
ყვავმა გული ამოგკორტნოს, გქვრეტდე ისეთ ფუქს, უგრძობელს,
რომ სიმრუმის სარეცელზე ვერ არჩევდე თვით ღვიძლ მშობელს;
ფეხთქვეშ მიწა გაცაგისკდეს შეჩვენებულს, წყველილს, გველს, კრულს
და შემზარავ ხმით ჩაჭუვა ლურლუმებზე შავეთ-უფსკრულს;
სუნთქვა ქარად გარდაგეჰმნას და დაგქროლოს, ისე მკაცრად,
რომ ალიგვა ქვეყნის პირით, რომ გადიქცი მჭვრად და ნაცრად.
დაგიმიწდეს წამწამთ ხედვა, ავლად გექცეს ავი სული,
ნადიმ ცეცხლზე კენესით მოჭკვდე ამწვარი და ატრუსული.



როს თითებში სტვირი გეპყრას და უკრავდე ლექსს მზიბლავად:
 სტვირი გველად გადაგეჭეს და ლექსი კი — საწამლავად.
 როს მოსწყვიტო დილის ვარდი, დილის ცრემლით დადაფნარი,
 ვარდის ნაცვლად ხელში შეგჩრჩეს ეკლის ცოცხი გადამჭენარი.
 შენ ცელი ხარ სიკვდილისა, სიცოცხლისა მთიბველ-მგველი,
 შენ გველი ხარ... გველი იყავ... და იქნები გველი... — გველი!

2

ავარაკზე, ფიქვ-ნაძენარში, მახსოვს, ბევრნი ვსეირნობდით,
 ვმაისობდით უზაკველნი, ვმაისობდით მთელის გრძობით,
 საბაასოდ აცრილ ენას ვაჩერებდით განა ერთ წუთს — ?
 ველურტულებდით უდარდელნი ვიოკებდით გულს დანახუთს.
 და... დაწყვილდნენ! და მიჰქროდა რიგი ზევით, რიგი ქვევით,
 ჩვენც დავწყვილდით, გახსოვს, ერთ ჯგუფს დავედევნეთ ღიმილ-ფრქვევით,
 შენ სთქვი: „ჩემო! — ასე მერქვა — ვშიშობ ჯგუფმა არ გამისწროს,
 წამო ჩქარა!“ და აყვევით საცალფეხო ბილიკს ვიწვროს;
 ო, შენ გეცვა ფეხთსამოსი ისე თეთრი-გამსჭვირვალე,
 რომ შენს ქოშთან მუქად სჩანდა თვით შროშანას სიბრწყინვალე.
 აიძურწე! და შენ ამ დროს დაგივარდა ცხვირსახოცი,
 მე მყის დავწვდი, მაგრამ თვით შენც დაიხარე განაოცი
 და ჩვენ თითქოს წინათგრძობით, და ჩვენ თითქოს რაღაც ბედათ
 გადავკოცნეთ ერთმანეთი, გადავკოცნეთ უცაბედათ.
 შემდგომ ვარდის ბარათები... ტყის პეპლების ტყეში დევნა...
 მთვარე... ღამე განათეთრი... ლექსი... ცრემლი... ბაგე... ხვევნა...
 და ვიყავით ასე ტკბილად სულ სამი თვე, სულ სამი თვე,
 შემდგომ... ახ, ახ, რად არ ვიგრძენ, რად არ ვიგრძენ იმ თავითვე,
 რომ ბილწ გესლად ფერს იცვლიდა ის ალერსი უზოგველი,
 რომ ბუდობდა — ზნე გახრწნილო! — შენს ცრუ გულში გველი... — გველი!..

3

და რაღაა, მაშ, თვით ქალი? ან რაღა ვარ ეხლა თვით მე?
 ო, რა ტყვილად გიგალობდი! ო, რა ტყვილად აგარითმე!
 ქალი? ჰმ! ღირს რომ ქალისთვის იტანჯო და ცრემლი ღვარო?
 ღირს თუნდ იმად, რომ უზადოთ უკვდავ ეშხით შეიყვარო?
 ო, ეს ვიგრძენ ძლიერ გვიან და დავკარგე დღეს რწმუნება,
 რა ყოფილა მაშ თვით ქალი? რა ყოფილა თვით ბუნება —
 თუ კი, გველო, თვით შენც... თვით შენც — უკეთესი ქალთა შორის —
 გამოდები ასე ფლიდი, დამლუპველი გულის სწორის??
 და რაღაა, მაშ, თვით ქალი? ან რაღა ვარ, მე რაღა, მე?
 ო, რა ტყვილად გავათენე! ო, რა ტყვილად დავაღამე!
 უკანასკნელ ლოცვას გიძღვნი... მაგრამ კმარა! მეყო... მეყო...
 მსურს ყველაფერს შეურიგდე, მსურს ყველაფერს გამოვეყო.
 ჰა, გიბრუნებ იმ საწინდრებს, რაც სახსოვრად დამიტოვე,
 წაიღე და ნაცვლად მომე ჩემი ძველი სიმატოვე;
 ჰა, გიბრუნებ ყოველივეს: თვით ამ სურათს, თვით ამ უსტარს,
 უსტარს ქაჯის ლორწო ენით ნაწერსა და ნაცულულუტარს;
 ჰა, ეს ზღვის ქვა — ამას ერთ დროს ვანაცვლებდი სიცოცხლესაც —
 ჰა, ეს ვარდიც... ეს „დღიურიც“... ეს დუგმაცა... ესაც... ესაც...
 წაიღე და მე და ჩემს ლექსს აწ ნუ გვიხმობ, აწ ნუ გველი...
 შენ გველი ხარ... გველი იყავ... და იქნები გველი... — გველი!..

4

გვეფიცები! სიბოროტე ჩემში სულ არ გამოსჭვივის,
 წინაპარი არ მყოლია და მეტოქეც არვინ მივის;
 მაგრამ... (ღმერთო! მუდამ „მაგრამ“ ჰგავს იმ ღამეს ჩანამუქსა,
 რომლის შემდგომ ველით ხოლმე ღვართქაფს, მებს და გრიგალ-ბუქსა.)
 მაგრამ, იცი, როცა გაზეთს გავშლი ხოლმე, სახლში, დილით:
 ვეძებ შენს გვარს — შავს არშიას — და მსურს დავსტკბე იქ სიკვდილით.
 ჰო! მსურს მოჰკვდე — ო, როგორ მსურს! — მსურს ჩქარა კი, მსურს ახლავე,
 მე ვიქნები ზარის მთქმელი, მე ვიქნები მესაფლავე,
 ჰო, მსურს მოჰკვდე! მაგრამ... არა! შენ ქორთა ხარ, პაწაწინა,
 შენზედ უმაღ მე მსურს მოკვდე!.. მე უწინა... მე უწინა...
 და გაფიცებ — ეშმას მონავ! — შენთვის ძვირფას, ჩემს, ტლუ საფლავს.
 ნუ, ნუ მოხვალ ჩემს მატურზე, შენი ხელი ნუ, ნუ დამფლავს.
 ან თუ შეგხვდეს ჩემი კუბო ქალწულთ ვარდით შექოჩრილი: —
 ვითომც არც კი დაგინახავს — გაიარე ქედ-მოხრილი.
 დამივიწყებს თვით ხსოვნაც კი! დამივიწყებს ყველა... ყველა...
 ყველა? დედა? არა! დედას სხვა გული აქვს, სხვა ნაღველა.
 მხოლოდ დედა მოვა ჩემთან და ყვავილებს ზედ დამივიწყებს,
 მხოლოდ დედა! დედა! დედა! ის არასდროს დამივიწყებს.
 შენ კი მარად ყურს ჩაგესმის ეს სიტყვები დამდაგველი:
 შენ გველი ხარ... გველი იყავ... და იქნები გველი... — გველი!..

სამაჰმადიანო საქართველო

ანუ ძველი მისხეთი



ძალაძე ართვინი.

კილი ნების დედილო!

ნოველა გ. ფონ-ომბტედისა.

ჩვენი სახლი სრულიად ცალკე სდგას, გამართოვებით, მალლა მთაში „მარტოობის დედილო“, სადამდეც ვერ აღწევს ადამიანთა ფუსფუსი და ქოთქოთი მათ ძიებათა და ლტოლვილებათა... ჩვენ მარტო ვართ, მარტოდ მარტო. ირგვლივ ღრმა მყუდროებაა, მყუდროება ნეტარი. ორხი ვართ მარტო— მე და დედა ჩემი, ორნი მას აქეთ, რაც დანარჩენებმა მიგვატოვეს და გაფრინდნენ. და ველი იმ წუთს, როცა უკანასკნელი იმედი, რაც მე ცხოვრებაში შემრჩენია— დედაც მოსწყდება სიცოცხლეს და წავა... მხოლოდ იმით ვცოცხლობ, რომ მის ცხოვრების დასავლის კიდური გავანათო და სითბო მოვგვარო. ვიცი, რომ ღამე ახლოვდება და შორს არ არის დიად, საუკუნო მდუმარებამდე, ვიცი, რომ დღენი ჩვენი უფრო და უფრო მოკლდებიან, მაგრამ სიბნელის, უკუნეთის არ გვეშინიან, რადგანაც გრძელი ცხოვრებით განსწავლული ვართ, რომ კანონნი ბუნებისა გარდუვალი, უღმობელი არს და ფეხით სთელენ ჩვენს საბრალო, ადამიანურ არსებას, თვით კი უცვლელი რჩებიან, დედამ უწყის, რომ დასასრული უახლოვდება, გრძნობს, რომ ძალა ეშრბება და მე მოკლედ და მორჩილებით მაუწყებს ამაზე, მე კი ვუსმენ ცივი, გაყინული თვალისა, ვუსმენ, როგორც რაიმე გარდუვალზე, აუცილებელზე, რომელსაც შე უნდა დავემორჩილო, დედა ავად არ არის, არაფერი სტკივა, მაგრამ მოიღალა, ძალზე მოიქანცა, ბევრი, ბევრი რამ გამოსცადა, გადაიტანა, იმის ვარამი ის არის, რომ მთელი ოჯახიდან მხოლოდ მე და ის დავრჩით ცოცხალი. გული მისი გაბზარულია, მოკლული, იმის მტკიცე ბუნება ბედის პირველ რისხვას არ


დაემორჩილა, არ გადაიხარა გვერდზე, ბედი ნელ-ნელა აწყვეტდა ფესვებს, ნელ-ნელა, უღმობლად აგლეჯდა გულიდან, აუცილებლად ყოველ წელს, საყვარელ—არსებას. ეხლა კი მხოლოდ ორნი და ველით სიკვდილს, ორნი— მე და ის.

შემოდგომაა, საღამო. სახლის წინ ვსხედვართ და მთებისკენ გავიყურებით. ციკაბოდ აყუდებულან სალი კლდის კედლები, ტიტველი, შიშველი და მარად მდუმარენი. დედე თითქოს ღრმად შეჩხერილა მათ შორის. არავითარ სანახაობა. მდუმარება მკვერთული ირგვლივ. მხოლოდ გაზაფხულობით გესმით ზვავების გუგუნე, გრიალი მომზღვლეულ, ყინულიან კედლების—და მზუილი ნიაღვრებისა. ეხლა კი მდუმარებაა, სრული მდუმარება.

ჩვენ პირდაპირ მზე ვსვენება, ჩადის შორს, შორს, გამოუცნობ სიღრმეში იკარგება... მნათობი დღისა პირს იბრუნებს ჩვენგან.

სიგრილე ფრთებს ისწორებს და ნელ-ნელა გვეპარება... ვთხოვ დედას შინ შევიდეთ მეთქი. ის სდგება და მოხუცი ოთახში მიმყავს. იქ ფანჯარასთან ვსხდებით, რომ, კვლავ შევხედოთ გაღმონაკიდ, ჩამონათალ კლდეს, შევხედოთ „კედელს სიკვდილისას“, როგორც უწოდეს მას მონადირეებმა, რადგან მთელ კლდეზე ერთი ბაქანი არ არის ქურციკისათვისაც კი. ამბობენ, რომ მის დანასავით წვეტიან ქედს დღემდე ცოცხალი არის ფეხი არ მიჰკარებიაო.

მე და დედა ჩუმად შევყურებთ კლდეებს, ჩუმად, უსიტყვოდ. რადგან ლაპარაკს თითქმის გადავეჩვიეთ მას აქეთ, რაც მარტოცა დავრჩით. მოხუცი დედიკოს თვალებს ირგვლივ საშინელი მოქანცულობის რკალი შემოვლებია, მაგრამ სახე ისევ ბავშვს მიუგავს და თუმცა თავი მთლად თეთრად აქვს დათოვლილი, მაინც ჯეველად გამოიყურება. ვაკვირდები, დიდხანს ვაკვირდები სახეში იმ დროს, რო-



„სახალხო ფურცელი“-ს გაზეთის დამტარებელი იოსებ ლეკიშვილი (დაჭრილია და ტყვედაა წაყვანილი).

პოლკორ. ალ. ზედგინიძე (დაჭრილია, უკვლოდ დაიკარგა)

პორ. გიორგი ქუთათელაძე (დაჭრილია).

მიტროფანე დოლიძე (დაჭრილია).

ცა ის ავლებს თვალს მომაკვდავ დღეს, სწრაფად, უბინდოდ ღამედ რომ იქცევის.

ვუკვირდები და რალაცა უცნაური გრძობა მიპყრობს. მგონია — ბედმა მარჯუნა სიკვდილის დარაჯად ყოფნა მეთქი, თითქოს უნდა ველოდო, ველოდო, ვიდრე სიკვდილი არ მოიტაცებს იმ ერთადერთს არსს, მე რომ ამ ქვეყნად შემრჩენია. ამიტომ ვარ აქ, ამიტომ ველი მღუმარედ, მორჩილებით თვეებს, წლებს, ვიდრე დედიკო სამუდამოდ მოხუჯავს თვალს. მგონია, თითქოს მოწამე უნდა ვიყო სიკვდილის, ისე, ვით ადამიანი, რომელმაც წარსულზე ანგარიში უნდა წარუდგინოს შემდეგ. ბედმა მარჯუნა წილად ყველა მახლობელი მიწისთვის მიმებარებინა. ვიცი — დედაც მოკვდება. მაშინ მე სრულიად მარტოა, მარტოდ-მარტოა და ვარჩები სახლში, აქ, მაღლა, მარტოობის ღელეში. მას აქეთ, რაც აქა ვართ, ადამიანისათვის არ დაგვიკრავს თვალი, გარდა მონადირის და იმისი ცოლისა, რომელნიც ჩვენ სხვა და სხვა დავალებას გვისრულებდნენ.

უცებ დედა არღვევს ღრმა მღუმარებას და რამდენიმე სიტყვას ამბობს, — მკითხავს — ხომ არა მცივა ან არ მსურს სახლის ანთება წიგნის წასაკითხად. მაგრამ მე ვუპასუხებ, რომ ჩემთვის უფრო საამოა ასე, ბინდ-ბუნდში ყოფნა მეთქი. მაშინ მთხოვს — პატარა თვალს მოვატყუებ და ვახშად გამაღვიძო. „ძილი ნებისა, დედილო“, მხოლოდ ამას ვასწრობ, რომ ის სავარძელს გადაესვენება და თვალს მოჰხუჯავს. და აგერ, ორივენი ფანჯარასთან ვრჩებით. მე უნძრევლად ვზივარ დედის პირდაპირ და ვუყურებ პირქუშ, გადმოკიდულ, სალ კედელს სიკვდილისას, გალავანივით რომ შემოვლენია ირგვლივ ღელეს მარტოობისას.

ოცნებას ვეძლევი, ფიქრთა ტალღებში ვიკარგები. ფიქრი ჩემი ერთიდან მეორეზე გადარბის და იმავე დროს ერთ და იმავე საკითხს უტრიალებს ირგვლივ, საკითხს სიცოცხლის ფასისას.

და ვოცნებობ იმაზე, რა მომცა ცხოვრებამ, რა გამომაკლო, როგორ დავაღწიე მას თავი და აქ, მარტოობის ღელედ, გამოვექციე იმიანად ერთად, რაც ბედმა კიდევ შემარჩინა. ვფიქრობ ადამიანის სიცოცხლის არარაობაზე, რომლითაც მეც ერთ დროს ვსულდგმულვობდი, როცა ჯერ ხალხში ვიმყოფებოდი და ვეცილებოდი სხვებს ბედნიერების რალაცა ნაფლეთებს... ვფიქრობ იმაზე, რომ პირველობის საჩუქარი ვერ მივიღე, რომელიც იმათა სწყურიანთ, დიდების ნასახიც არ მოვინაგრე, ბედნიერების ნამცეცეც კი... და ბოლოს როგორ ვუთხარ ჩემს თავსვე, რომ დავიწყება, სამარე იმად არა ღირს, ერთმანეთი ვავტანჯოთ, ვავაწამოთ, მოვატყუოთ, რომ ველოდოთ შემთხვევას როგორმე გამოვტაცოთ ხელიდან სხვას შესასატი, შესამატი, რომელიც ჩვენ მაინც მშრალზე დავგტოვებ მეთქი...

და ჰა, სულის სიღრმეში, გულში ვალიარებ, რომ დამარცხებულნი, დამორჩილებული ვარ ბედის მიერ.

მაგრამ მყუდროობაში მე თითქოს მიპყრობს სუსტი ანარეკლი სიხარულისა, რომელსაც მე ამაოდ ვეძიებდი ქვემოლ: ჩემი სული სტკებდა, ამაყობს მარტოობით, მარტოობით.

დედას შევცქერო. მარტოა ვარ? არა. ვადრე ეს ჩემს ახლოს არის, მარტო არა ვარ. მარტო ვიქნები მაშინ, როცა ესეც გაფრინდება ჩემგან. მერე, ეს რომ ამ წუთში მოხდეს? უცებ მირბენს თავში აზრი. ეხლა რომ დადგეს ის, რასაც მე აქ ყოველ დღე, ყოველს საათს ველი? ამისი გაბზარული გული სამცოდა ათი წლის მოქმედების შემდეგ ეხლა რომ უცებ ჩაყურყუმელავდეს მარადისობაში?..

ჰო, მაშინ კი მართლაც მარტოა ვიქნები. და შეეყურებ მოხუც დედას, ჩემს წინ სავარძელში რომა ზის და შიში მიპყრობს, რომ ეს მართლა არ მოხდეს. ვქვავდები შიშისაგან, ვაკვირდები — კიდევ უფეთქს მკერდი?.. ბნელა, ძლიერ ბნელა, გარჩევა არ შეიძლება... ყურს ვუგდებ შეშინებული ჩუმად — არ ისმის სუნთქვა? არაფერი, არაფერი ისმის... არა... ჰო, მესმის, მესმის. სუნთქვა ნელა, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვარ, რომ დედიკოს სძინავს.

გულს ვიმშვიდებ და კვლავ ბინდში გავიყურები, ვუმზერ მწუხრით მოკულ კედლებს, სიკვდილის კედელს, ის მაინც აზიდულა ცად მღუმარედ. ისე კარვად ვიცი ის, რომ, ხომ ბნელა და თითქმის არაფერის გარჩევა შეიძლება, მაინცა მგონია, რომ ვარჩევ ყოველს ნაპრალს და გამობურკულს, ვჭკვრეტ რა ადგილს დაუღიათ პირი ნაპრალეებს, სად დაღრენილან უფსკრულნი... არ არის ბაქანი, არ არის ერთი საფეხური მაინც, სადაც ფეხის დადგმა შეიძლებოდა.

ყველაფერი სდუმს. სიო არ იძვრის. აფქიოც კი სახურავზე არა ქრიალებს, ფანჯრის დარაბები არა ბრაბუნებენ. არაფერი ისმის, არაფერი, მღუმარება მკვდრული. ჩემს წინ კედელს უკუნეთი ეფარება და ყველაფერი ეძლევა არაობას. სჩანს მხოლოდ მკრთალი მობახულობა ფანჯრისა და პირდაპირ დედა, ღელესკენ რომ მიუქცევა სახე. მაგრამ ფიქრი მეპარება, რომ მე მხოლოდ მეჩვენება, ვი-

თომ დედას ვხედავ მეთქი, რადგან ვიცი, რომ ის იქა ზის, ნამდვილად კი თვალს აღარაფერი შეუძლიან გაარჩიოს. მინდა დედიკოს ხმა მიეცე, დაუძახო, ვკითხო სძინავს თუ არა, მაგრამ ვერა ვხედავ. იმისი ძილი ჩემთვის წმიდა არს. და მე კვლავ გაფაციცებით ვუგდებ ყურს მის სუნთქვას, მაგრამ არაფერი მესმის. შიშის ზარი მეცემა და მარწუხივით მიჭერს ყელში — რატომ არ მესმის იმის ნელი, მშვიდი სუნთქვა? და მე კვლავ ვაფაციცებ ყურს, რომ სუნთქვა იგი გავიგონო.

არაფერი ისმის. მღუმარებაა. შიშს ვამიქარვება, სევდას შემიმსუბუქებდა ეხლა ღამის რაიმე ხმაურობა. ნადირობიდან დაბრუნებული მონადირის ფეხის ხმა მაინც გამეგონა ეხლა, ან ყეფა ძაღლისა... მაგრამ ირგვლივ სდუმს ყველაფერი.

ეხლა კი აღარაფერი შემიძლიან ვაგარჩიო... ყველაფერს ძაძა გადაჰფარებია უკუნებრივი. ფანჯრის ჩარჩო უკვე აღარა სჩანს... აღარც კი ვიცი საით არის... ამა თუ იმ მხარეს ველარ ვარჩევ... აღარაფერი ირჩევა ბნელში, უკუნეთში... აღარაფერი... აღარაფერი...

როგორც თვალი, ისე სმენა ჩემი მოჯადოვებულია. ყურს ვუგდებ თვით ჩემი გულის ცემას... არაფერია... ნეტავი საფეთქლებში მაინც მტეხდეს და ყურებში სისხლი მიშხუოდეს... მაგრამ არც ეს არის. და უცებ მეჩვენება, რომ მიწას მოვწყდი, ჰაერში ვმოძრაობ... ველარა ვგრძნობ — სადა ვარ? არ ვიცი. დრო და ადგილი აღარ არსებობს. იქნება მარტოობის ღელეშიც დავხეებები, მაგრამ ჩემი ფეხის ხმა არ მესმის, ტანისამოსი არ მიშრიალებს, წინ არ ვიძვრები, არ ვინძრევი და მაინც ერთ ალაგას არა ვარ... მინდა დავინახო იცვლება თუ არა არე, თუ იგივე რჩება, როგორც იყო, მაგრამ ამისათვის საკმაო ნათელი არ არის, ირგვლივ უკუნეთია. პირველად ვიფიქრე ბურუსში მოვყე მეთქი, მაგრამ მაშინ ყომრალი იქნებოდა ნისლიც, ორთქლიც... საიდანმე მაინც უნდა შემოგეყიტა შუქს, ან მეტ სიბნელეს. ეხლა კი მგონია, რომ არცა ბნელა და არც ნათელია.

და მე კვლავ ზარი შიშისა მიპყრობს.

გული მიგრძნობს, რომ ჩემს ძარღვებს დაუკარვავთ უნარი მგრძნობიერობისა. მე უსხეულო არა ვარ, წონას წარმოვადგენ, მაგრამ სიმძიმე მაქვს რაიმე თუ არა, ვერა ვგრძნობ, ვერა ვცნობ თავსა ჩემსა, თორემ გადავჭრიდი, ვიტყოდი — უკედ ვგრძნობ თავს, რომ სიმძიმეს ვერ ვიგებ თუ არა. ვარსებობ თუ არ ვარსებობ მე?

შიშის ზარი ყინულად მივლის ტანში, შიშის ზარი ცივად მკბენს. უსაზღვროობაში ვიმყოფები, გონების გარეშე, არას დროს ხელ-შეხებულა ყოფა ჩემი, არას დროს წარმოადგენილა.

მე — სივრცეში ვარ!..

და ჩემში უცებ იწყებს კდომას აზროვნებაც და თავს ჰყობს ბუნდოვანი წინადგრძობა სიმშვიდისა, დუმილისა, განსვენებისა... მაგრამ ამასაც ბოლო ეღება. მეტი აღარაფერი ვიცი, აღარაფერი. ყველაფერი ჰქრება... ნიავდება... ინთქება... ისპობა... ნეტარების გრძნობით კი არა... და არც ტანჯვის გრძნობით... არამედ სრულ გულგრილობის გრძნობით... შეუფასებელი... არც კარგია... არც ავი... საშუალოა... არა, ამ ყოფის გამოსახატად სიტყვა არ არსებობს...

უცებ ვხტები შიშით, ირგვლივ ბნელა. გული მიწყლულიანდება, რომ სინამდვილეს დაუბრუნდი, ჯერ ისეც არაობის ხელთა ვარ, არაობის, კაცს რომ მგრძნობიერობისგან ანთავისუფლებს... მეორე მხარეს ჩემს წინ მდევის აჩრდილივით გადმოწოლილა კედელი სიკვდილისა. მღუმარედ გადაშლილა ველი მარტოობისა. ნელა, ჩუმად ჰყობს თავს ჩემში სურვილი და მიპყრობს თანდათანობით. მინდა, მინდა ვუთხრა დედას: „დედა, დედიკო, თუ ეს სიკვდილი იყო, შენ მაგიერ შევთხოვ ბედს — დამანებე თავი, მიმატოვე მარტოა, მარტოა!“

მხოლოდ ბუნდოვანად ვარჩევ სავარძელში მის ჩამომქრალ სახეს უძრავსა. ყურს ვუგდებ. არ ისმის სუნთქვა. ვილუნები მის თავთან, ვცდილობ საკუთარი სუნთქვა შევიკავო, რომ იმისი სუნთქვა გავიგონო... მღუმარებაა. ნელა ვდგები. წინადგრძნობა მებადება... მივიღვარ ახლოს. „გძინავს, დედიკო?“ ვეკითხები. პასუხს არ იძლევა. „დედიკო, გძინავს?“ ვიმეორებ ხმა-დაბლა კვლავ. „დედიკო, დედიკო, გაიღვიძე!“ ვყვირი. ხმა მიწყდება. სუნთქვას ვიკავებ კვლავ ყურს ვადებ გულზე — იგი აღარა სცემს...

ვერა ვხედავ სათლებს ანთებას. ჩემს ირგვლივ და ჩემში ბნელა. სიკვდილის მყუდროებას არ არღვევს არც ერთი ხმა, ფაჩუნნი, შრიალი.

და ის, რაც მე ამხანავად ამოვირჩიე — მარტოობა — ეხლა კი სამუდამოდ, საბოლოოდ რჩება ჩემთან, ჩემთან.

სანგანიძე.